დროის პერსპექტივის საპილოტე კვლევა სტუდენტებში

ვერიკო სადაღაშვილი

სამაგისტრონაშრომიწარდგენილიაილიასსახელმწიფოუნივერსიტეტისმეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზეგანათლებისფსიქოლოგიის მაგისტრისაკადემიურიხარისხისმინიჭებისმოთხოვნებისშესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი: მარინე ჯაფარიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს სტუდენტის დროის პერსპექტივის, დროისადმი დამოკიდებულების კვლევა. ადამიანები განსხვავებულ მიდგომას ავლენენ დროის სამი განზომილების მიმართ (აწმყო, წარსული, მომავალი), რაც გავლენას ახდენს მათ ქცევაზე აწმყოსა და მომავალში. კვლევაში გამოყენებულია ფილიპ ზიმბარდოს დროის პერსპექტივის საკვლევი ტესტი(ZTPI),რომლიც ადგენსპიროვნებისშემდეგ დროითი ორიენტაციებს: 1. ნეგატიური წარსული; 2. აწმყო ჰედონისტური; 3. მომავალი; 4.პოზიტიური წარსული; 5. აწმყო ფატალისტური; კვლევა ჩატარდა ბიზნესის, ხელოვნებისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სტუდენთებთან ვინაიდან, არსებობს მოსაზრება, რომ განსხვავებული პროფესიის ადამიანები სხვადასხვანაირად აღიქვამენ დროს. კვლევის მიზანია აღნიშნული მეთოდიკის გამოყენებით განვსაზღვროთ განსხვავებული მიმართულების სტუდენტების დროისადმი დამოკიდებულება, ასევემოვახდინოთ I და IV კურსის სტუდენტების შედარებითი ანალიზი, რითაცნაჩვენებთ ასაკობრივგანსხვავებებს დროსთან მიმართებაში. ამასთანავე სხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევები აჩვენებენ, რომ არსებობს დროის პერსპექტივასა და მიღწევის მოთხოვნილებას შორის კავშირი, ჩვენ ეს საკითხიც ვიკვლიეთ. მიღწევის მოთხოვნილების დასადგენად გამოყენებული იქნაა, ა.მასლოუს ტესტი. კვლევაში მონაწილეობას იღებდა 150 სტუდენტი, თანაბრად გადანაწილებულნი, როგორც კურსის, ასევე ფაკულტეტის მიხედვით(თითოეული 25 სტუდენტი).

მიღებული მონაცემები დამუშავდაspss20-ში. საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს 2 მომენტი: 1. ზოგადად სტუდენტის დროის პერსპექტივის, დროის ორიენტაციის თავისებურებების დადგენა; 2. აღნიშნულ საკითხის შესახებ კვლევების სიმცირე/არ არსებობა ქართულ კონტექსტში.

კვლევამ აჩვენა რომ სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებში დადასტურდა განსხვავებული დროითი ორიენტაციები და ასევე მიღწევის მოთხოვნილებასა და დროის ორიენტაციას შორის გამოვლინდა გარკვეულიკორელაცია.

საძიებო სიტყვები: დროის პერსპექტივა, ნეგატიურ წარსულზე ორიენტაცია, აწმყო ჰედონისტური ორიენტაცია, მომავალზე ორიენტაცია, პოზიტიურ წარსულზე ორიენტაცია